სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს

ქ. თელავში, ქართული უნივერსიტეტის ქ. N1-ში (1 სასწავლო კორპუსი) მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული ფართის იჯარის წესით გადაცემის თაობაზე კვების ობიექტის მოწყობის მიზნით.

საწყისი საიჯარო ქირა წლიურად	1882,1 ლარი
„ბე“	564,63 ლარი
იჯარის ვადა	2 წელი
იჯარით გასაცემი ფართი	64,9 კვ.მ
განცხადების მიღების ადგილი	ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. N1, 1 სასწ. კორპუსი, მე2 სართული, იურიდიული სამსახური, ტელ. 0 350 27 06 11
განცხადების მიღების ვადა	30.10.2013წ-დან 19.11.2013 ჩათვლით 10:00 სთ-დან 13:00სთ-მდე (შაბათ-კვირის გარდა)
კონკურსის ჩატარების თარიღი(მონაწილის წინადადების შემცველი კონვერტის გახსნის თარიღი)	2013 წლის 19 ნოემბერი, 15:00 სთ.
საბანკო რეკვიზიტები	სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი : BAGAGE22 ა/ა N GE90BG0000000444630700
შენიშვნა	ფართი უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ცენტრალური გათბობის სისტემით

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

- საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოს და უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია;

საკონკურსო პირობები:

- მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის გადახდა ყოველთვიურად;
- იჯარით გასაცემ ობიექტში შესაბამისი სტანდარტის კვების ობიექტის მოწყობა;
- იჯარის ვადის გასვლის შემდეგ აღნიშნული ქონება უბრუნდება უნივერსიტეტს;
- სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ წერილობითი მოთხოვნიდან არაუმეტეს 2 კვირაში უნდა გაუქმდეს საიჯარო ხელშეკრულება;
- საიჯარო ქირის დასახელება(არანაკლებ საწყისი ტარიფისა);
- ხანძარსაწინააღმდეგო, სანიტარული, სავენტილაციო და ეკოლოგიური მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა;
- ვალდებულების აღება მოხმარებული ელ.ენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის ხარჯების ყოველთვიური დაფარვის თაობაზე;
- „სწრაფი“ და „კომბინირებული“ კვების მენიუს(საორიენტაციო ჩამონათვალი, ფასების მითითებით) უზრუნველყოფა. დაუშვებელია ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის შეტანა რეალიზაციის მიზნით.

კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია შეირჩეს ის იურიდიული(ფიზიკური) პირი, რომელიც უზრუნველყოფს ფართის ეფექტურ გამოყენებას კვების ობიექტის მოსაწყობად და მომსახურების ხარისხისა და ფასის თვალსაზრისით მაქსიმალურად ხელმისაწვდომს გახდის უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს იჯარით გასაცმი ობიექტის დასახელება და თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
2. მონაწილის წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ, წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით, დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე. (ასეთი წინადადება არ განიხილება);
3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი(ფიზიკური პირის შემთხვევაში);
4. ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება
5. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ორგანოდან საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;
6. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით;
7. იურიდიული პირებმა უნდა წარმოადგეინონ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ბოლო მონაცემები);
8. ინფორმაცია პრეტენდენტის რეკვიზიტების შესახებ;
9. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ორგანოდან საჯარო - სამართლებრივი შეზღუდვის არარსებობის შესახებ;
10. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;

- „მოიჯარე“-ს მიერ გადახდილი „ბე“ ჩაითვლება საიჯარო გადასახადში;
- განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს მონაწილის სტატუსს;
- კონკურსში გამარჯვებულ პირთან საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდება ათი დღის ვადაში.